



საინვესტიციო პროექტების თავისებურებანი და რისკები ნავთობგაზომომპოვებელ მრეწველობაში

სამეურნეო სუბიექტების ეფექტური ფუნქციონირება და მდგრადი განვითარება საბაზრო ეკონომიკის პირობებში მნიშვნელოვნად განისაზღვრება მათი საინვესტიციო საქმიანობით. იგი მოიცავს ინვესტიციების ობიექტების შერჩევას, აგრეთვე საინვესტიციო პროექტების განხორციელების პრაქტიკულ საქმიანობათა ერთობლიობას.

ინვესტიციებში იგულისხმება ფულადი სახსრები, პაი, აქციები და სხვა ფასიანი ქაღალდები, მოწყობილობა, ტექნოლოგიები, ინტელექტუალური ფასეულობანი, ჩადებული სამეწარმეო საქმიანობის ობიექტებში მოგების მიღების და/ან სხვა დადებითი ეკონომიკური და სოციალური ეფექტების მისაღწევად.

ინვესტიციები სამეწარმეო საქმიანობის ობიექტებში ხორციელდება სხვადასხვა ფორმით და კლასიფიცირდება სხვადასხვა ნიშნით.

ჩვენი მიზნიდან გამომდინარე უფრო საინტერესოა რეალური ინვესტიციები, რომლებიც წარმოადგენს საშუალებათა დაბანდობას რეალურ აქტივებში, როგორც მატერიალურ, ისე არამატერიალურში. მატერიალურ აქტივებში იგულისხმება საწარმოო შენობები და ნაგებობები, ასევე ნებისმიერი მანქანები და დანადგარები ერთ წელზე მეტი სამსახურის ვადით. არამატერიალურ აქტივებში მოიაზრება საწარმოს კუთვნილებაში არსებული ღირებულებითი შეფასების მქონე ინტელექტუალური ფასეულობანი და უფლებები.

ფინანსური ინვესტიციები წარმოადგენს საშუალებათა დაბანდობას სხვადასხვა ფინანსურ ინსტრუმენტებში (აქტივებში), კერძოდ, ფასიან ქაღალდებში (ობლიგაციები, აქციები), ბანკის დეპოზიტებში და ა.შ. ამ ინვესტიციებს სხვაგვარად პორტფელურ ინვესტიციებსაც უწოდებენ. [1]

საბაზრო პირობებში ინვესტიციების ორივე ტიპს დიდი მნიშვნელობა აქვთ სამეურნეო სუბიექტის (საწარმო, ფირმა, ორგანიზაცია) ცხოველუნარიანობის შესანარჩუნებლად და მისი განვითარებისათვის.

მაგრამ ჩვენს ნაშრომში ყურადღება გამახვილებული იქნება ინვესტიციების პრობლემებზე რეალურ აქტივებში, რადგანაც პორტფელური ინვესტიციები საქართველოში ზოგადად, და მათ შორის ნავთობგაზომომპოვებელ მრეწველობაში,

ბოდუერი ტაბატაძე

სტუ-ს ასოცირებული პროფესორი

E-mail: G_Tabatadze@mail.ru

ბიორბი ტატიშვილი

სტუ-ს დოქტორანტი

არც ისე აქტუალურია ქვეყანაში საფონდო ბაზრის განვითარებლობის გამო.

ინვესტიციების მომზადება და ანალიზი რეალურ აქტივებში მნიშვნელოვნად არის დამოკიდებული იმაზე, თუ როგორი სახისაა ეს ინვესტიციები ანუ საწარმოს წინაშე მდგარი ამოცანებიდან რომელი წყდება მათი დახმარებით.

ნავთობისა და გაზის მრეწველობას გააჩნია თავისი სპეციფიკური თავისებურებანი ინვესტიციების მიმართ. ამ დარგის განვითარება მნიშვნელოვნად არის დამოკიდებული ნავთობისა და გაზის საბადოების დამუშავების სამთო-გეოლოგიურ პირობებზე, რაც განაპირობებს ინვესტიციების კლასიფიკაციის აქტუალობას:

- ინვესტიციები, დაკავშირებული ნავთობისა და გაზის წლიური მოპოვების შესანარჩუნებლად პირობითად განსაზღვრულ დონეზე;
- ინვესტიციები, აუცილებელი საბადოს ექსპლუატაციის დასრულებისათვის, რასაც თანახმად მოპოვებული პროდუქციის მოცულობის შემცირება.

ნავთობისა და გაზის მრეწველობის საწარმოთა საინვესტიციო სტრატეგიებს ყოფენ ორ ჯგუფად [2]:

- აქტიური ინვესტიციები, რომლებიც უზრუნველყოფს საწარმოო სიმძლავრეების მუდმივად ამადლებას და საწარმოს მომგებიანობას ახალი საწარმოო ობიექტების ამოქმედების, ახალი ტექნიკისა და ტექნოლოგიის დანერგვის საფუძველზე;

- პასიური ინვესტიციები, რომლებიც უზრუნველყოფს სტაბილურ მოპოვებას და წარმოების ჩამოყალიბებული რენტაბელობის დონის შენარჩუნებას.

ინვესტიციების მართვის ზოგადი დებულებების თანახმად ინვესტიციებს გააჩნია შემდეგი ძირითადი ფუნქციები:



- ინვესტიციები გამიზნულია კონკრეტული სოციალური ან ეკონომიკური

- მიზნისათვის; საინვესტიციო რესურსები გამოიყენება სრულიად განსაზღვრული ხანგრძლივადიანი საქმიანობის ორგანიზებისათვის ამ მიზნის მისაღწევად; განსაზღვრული საქმიანობა შეზღუდულია დროში.

ასეთ ზოგად განმარტებას მიეყვართ საინვესტიციო საქმიანობის ერთეულის შემოღებასთან, რისთვისაც მსოფლიო პრაქტიკაში მიღებულია ტერმინი „საინვესტიციო პროექტი“. იგი შეიძლება მივაკუთვნოთ ზოგადად „პროექტის“ კერძო შემთხვევას.

პროექტი განიხილება როგორც ურთიერთდაკავშირებულ საქმიანობათა კომპლექსი რესურსების კონცენტრაციისა და გამოყენებისათვის შეზღუდულ დროში კონკრეტული მიზნის მისაღწევად.

საინვესტიციო პროექტი კი წარმოადგენს ეკონომიკური რესურსების კონცენტრაციის და გამოყენების ურთიერთდაკავშირებული ქმედებების კომპლექსს საწარმოში, მიმართულს სოციალური და ეკონომიკური სარგებლის მისაღებად შედარებით ხანგრძლივი დროის განმავლობაში საქმიანობის რეალურ და პროგნოზულ პირობებში.

საინვესტიციო საპროექტო გადაწყვეტილებათა შესაფასებლად ძალზე მნიშვნელოვანია ორგანიზაციულ-საწარმოო და ეკონომიკურ-მმართველობითი ხასიათის სპეციფიკური თავისებურებანი, რომლებიც გააჩნია ეკონომიკის ამა თუ იმ დარგს.

ნავთობგაზომპოვებელი წარმოების თავისებურებებს მიეკუთვნება:

- შრომის საგნის (ნავთობგაზიანი ფენი) და საექსპლუატაციო მოწყობილობების დაშორება ნავთობგაზომპოვების პროცესის მართვისა და უშუალო დაკვირვების ადგილისაგან;

- საბადოების ტერიტორიული განლაგების შეცვლის შეუძლებლობა;

- სამთო-გეოლოგიურ პირობებზე და გეოლოგიურ-საძიებო სამუშაოების ხარისხსზე დამოკიდებულება;

- ბუნებრივი ფაქტორების დინამიური ხასიათი (ცვლილებები დროში და სივრცეში);

- საბადოების ექსპლუატაციის რამდენიმე სტადიის არსებობა და პროექტის რეალიზაციის პერიოდის ხანგრძლივობა;

- საბადოების დამუშავების პროცესების უარყოფითი ეკოლოგიური ზემოქმედება გარემოზე;

- საინვესტიციო პროექტების შედგენისას გამოყენებული ინფორმაციის მაღალი გა-

ნუსაზღვრელობები და ინვესტიციების რისკის შესაბამისი დონე საბადოების ძებნის, ძიების და დამუშავებისას;

- ნავთობისა და გაზის მოპოვების მოცულობათა დამოკიდებულება ბუნებრივ პირობებზე და ნახშირწყალბადების მარაგების ათვისების დონეზე;

- საბადოს დამუშავების ეკონომიკური მაჩვენებლების მუდმივი გაუარესება და საინვესტიციო პროექტით წარმოქმნილი ფულადი ნაკადის დამოკიდებულება საბადოს მარაგების ამოწურვაზე.

თავის მხრივ სპეციფიკური თავისებურებებით ხასიათდება გეოლოგიურ-საძიებო და ბურღვითი სამუშაოებიც.

კერძოდ, ძებნა-ძიებითი სამუშაოები ხასიათდება:

- ძებნა-ძიების ობიექტების მნიშვნელოვან ტერიტორიებზე გაფანტულობით;

- საკვლევი რეგიონის საწარმოო და სოციალური ინფრასტრუქტურის სუსტი განვითარებით;

- სამუშაო ფრონტის მუდმივი გადაადგილებით სივრცეში;

- მთლიანი ციკლის დიდი ხანგრძლივობით, რაც დაკავშირებულია ნავთობისა და გაზის საბადოების (ბუდობების) აღმოჩენასთან და საექსპლუატაციო მომზადებასთან;

- გეოლოგიურ-საძიებო სამუშაოების დაპროექტების წინსვრების აუცილებლობა მომპოვებელი საწარმოების დაპროექტებასთან შედარებით;

- გეოლოგიურ-საძიებო სამუშაოების ეფექტიანობის მაჩვენებლების გაუარესება რეგიონის განსაზღვრული ხარისხით შესწავლის შემდეგ.


ნავთობის რესურსების ათვისების თავისებურებანი განაპირობებს საინვესტიციო დაპროექტების განსაზღვრულ თანმიმდევრობას [ნახ.1] [2]

ამის შემდეგ იწყება საპროექტო ანალიზი, რომელიც საშუალებას იძლევა შევაფასოთ საინვესტიციო პროექტის ფინანსური, ეკონომიური და სხვა ღირსებანი და ნაკლოვანებანი. იგი არის საწარმოს განვითარების მიზნით რესურსების რაციონალური განაწილების გონივრული გადაწყვეტილებების მიღების ინსტრუმენტი.

მაგრამ პროექტის რეალიზაციის პერიოდში შეიძლება წრმოქმნას არახელსაყრელი სიტუაციები და შედეგები, რომლებთანაც დაკავშირებულ განუსაზღვრელობას რისკი ეწოდება. (დანაკარგები, ზარალები და ა.შ.). ხშირად რისკის ქვეშ გულისხმობენ რესურსების ნაწილის დაკარგვის, შემოსავლების მიუღებლობის,



ნახ. 1. ნახშირწყალბადების საბადოს დამუშავების დაპროექტების თანმიმდევრობა



დამატებითი დანახარჯების წარმოქმნის ალბათობას და ა.შ. ინვესტიციების განხორციელების ყოველ სტადიას სპეციფიკური რისკები ახასიათებს. ამიტომ პროექტის მთლიანი რისკის შეფასებას, როგორც წესი, აგრეგირებული მონაცემების საფუძველზე ახდენენ ცალკეული ეტა-

პების მიხედვით. რაც უფრო ხანგრძლივია პროექტის განხორციელების ვადა, მით მეტია მისი რეალიზების საბოლოო შედეგების გაურკვევლობა და ამის გამო – რისკის დონე [3]. ნათლობის და გახის მომპოვებელ დარგში პროექტის განხორციელების ვადა, როგორც წესი 8-10 წელს



შეადგენს. ცნობილია, რომ რისკები კლასიფიცირდება შემდეგ ძირითად სახეობად:

- ეკონომიკური (ეკონომიკური სიტუაციის არასტაბილურობა, მათ შორის კანონმდებლობის, ინვესტირების, საბაზრო კონიუნქტურის და ა.შ. სფეროში);
- პოლიტიკური (დაკავშირებული პოლიტიკური კურსის განხორციელებასთან);
- სოციალური (მშრომელთა უკმაყოფილება გატარებული პოლიტიკით);
- ეკოლოგიური (კატასტროფები, სტიქიური უბედურებები და სხვ.);
- საწარმოო-ტექნოლოგიური (დაკავშირებული გაანგარიშების შეცდომებთან, ავარიებთან წარმოებაში და სხვ.);
- რისკის სხვა სახეები (ფინანსური, მარკეტინგული, ტექნიკური, სპეციფიკური რისკები და სხვ.)

აქვე აღვნიშნავთ, რომ გეგმიური ეკონომიკის პირობებში კაპიტალდაბანდებათა პროექტების დასაბუთების პროცესი და შესაბამისად ყველა ტექნიკურ-ეკონომიკური გაანგარიშება წარმოება და რისკების ანალიზის გარეშე. მხოლოდ ერთი ფრაზით აღნიშნავდნენ მათ აბსოლუტურ არარსებობას, რაც იწვევდა ნებისმიერი სისტემის მრავალფარიანტულობის შესაძლებლობათა გაუთვალისწინებლობას.

თუ პროექტის რეალიზაციის სხვადასხვა შესაძლო პირობებში მისი დანახარჯები და შედეგები სხვადასხვაა, მაშინ რისკისა და განუხაზვრელობების ფაქტორი უნდა იქნეს გათვალისწინებული მისი (პროექტის) ეფექტიანობის გაანგარიშებისას. გარდა ამისა, საინვესტიციო პროექტების დაფინანსება დინამიკური პროცესია, რომელშიც გადაწყვეტილების მიღების პროცესში პროექტის რეალიზაციის პირობები შეიძლება შეიცვალოს, განსაკუთრებით სამთომომპოვებელ დარგში, რასაც ავტომატურად მივყავართ პროექტის ადრე გამოთვლილი შედეგების ცვლილებასთან.

როგორც ცნობილია, ნავთობისა და გაზის საბადოების დამუშავების დაპროექტება წარმოებს ობიექტზე არსებული გეოლოგიურ-გეოფიზიკური ინფორმაციის საფუძველზე, რომელიც აუცილებელია, მაგრამ არასაკმარისია დანაკარგების მინიმიზაციისათვის.

ნავთობისა და გაზის მრეწველობის საინვესტიციო პროექტებისათვის დამახასიათებელია ყველა ზემოთ ჩამოთვლილი რისკები, მაგრამ, გარდა ამისა, არსებობს „შიგა დარგობრივი“ რისკებიც[2]: აღმოუჩენელი საბადოს რისკი; არარენტაბელური საბადოს აღმოჩენის რისკი; დამუშავების ობიექტის გეოლოგიურ-სარეწაო მახასიათებლების არაზუსტი განსაზღვრის

რისკი (გეოლოგიური მარაგების მოცულობა, ნავთობგანამოღების დონე, მოპოვებული მარაგების მოცულობა, და ა.შ.); რისკი, დაკავშირებული პროექტის დასრულებასთან; რისკები დაკავშირებული ნავთობის, გაზის, ნავთობპროდუქტების რეალიზაციასთან; რისკები, განპირობებული პროექტის მონაწილეთა ღირსებებთან. რისკის ანალიზის დანიშნულება მდგომარეობს იმაში, რომ მივცეთ პოტენციურ პარტნიორებს (ინვესტორებს) აუცილებელი ინფორმაცია გადაწყვეტილების მისაღებად პროექტში მონაწილეობის მიზანშეწონილობაზე და გათვალისწინებული იქნას ღონისძიებანი შესაძლო ფინანსური დანაკარგების თავიდან ასაცილებლად.

პროექტის ნებისმიერი მონაწილის რისკის ანალიზისას აუცილებელია შემდეგი პირობების გათვალისწინება: რისკის დანაკარგები ერთმანეთზე დამოკიდებული არ არის; დანაკარგები ერთი მიმართულებით არა აუცილებლად ზრდის დანაკარგების ალბათობას მეორე მიმართულებით (ფორს-მაჟორული გერემოებების გამოკლებით); მაქსიმალური სავარაუდო ზარალი არ უნდა აღემატებოდეს მონაწილის ფინანსურ შესაძლებლობას.

პროექტის რისკის დონის მომატებაზე პოტენციურად მოქმედი ყველა ფაქტორი იყოფა ობიექტურ და სუბიექტურად.

ობიექტურს მიეკუთვნება გარე გარემოს ფაქტორები, რომლებიც უშუალოდ არ არის დამოკიდებული პროექტის მონაწილეზე: (პოლიტიკური და ეკონომიკური კრიზისები, კონკურენცია, ინფლაცია, ეკონომიკური ვითარება, საბაჟო გადასახადები და სხვ.)

სუბიექტური ფაქტორები ახასიათებს ორგანიზაციის შიგა გარემოს, სახელდობრ საწარმოო პოტენციალი (ტექნიკური აღჭურვილობის დონე, შრომის ორგანიზაცია), კოოპერატიული კავშირები, კონტრაქტების ტიპი ინვესტორთ, შემკვეთთან და ა.შ.

საინვესტიციო საპროექტო რისკების უარყოფითი შედეგები გასანიტრალეზად შეიძლება შეიქმნას და იყენებენ სხვადასხვა მეთოდებს. არსებობს რისკის განეიტრალეების შიგა და გარე ღონისძიებები.

საქართველოს ნავთობისა და გაზის შესახებ კანონში მითითებულია (მუხლი 14 – სარისკო მომსახურების ხელშეკრულება), რომ ინვესტორი გაიღებს ნავთობისა და გაზის ძებნა-ძიებასთან და გეოლოგიურ შესწავლასთან დაკავშირებულ ყველა ხარჯს და წარუმატებლობის შემთხვევაში თავის თავზე იღებს რისკს. ამასთან ერთად აღნიშნულია, რომ ინვესტორს სახელმწიფო უნაზღაურებს დახარჯულ კაპიტალს სას-



ესხო პროცენტით და დამატებით გადასახადს ნავთობისა და გაზის ძიების რისკის თავის თავზე ადებისათვის თუ ეს ხელშეკრულებით არის გათვალისწინებული. ინვესტორს დანახარჯები უნაზღაურდება, როგორც წესი, ფულადი სახსრებით; ნავთობის დაგაზის სააგენტოს გადაწყვეტილებით ინვესტორს დანახარჯები შეიძლება ნაწილობრივ ან მთლიანად აუნაზღაურდეს მოპოვებული ნავთობითა და გაზით, ან მიეცეს ნავთობისა და გაზის მსოფლიო ბაზრის მიმდინარე ფასებით შეძენის უფლება.

რისკის რაოდენობრივი ანალიზის ამოცანა გამოიხატება სარისკო ფაქტორების გავლენის გაზომვაში პროექტის ევექტიანობის კრიტერიუმებზე.

ცნობილია, რომ ნებისმიერი პროექტის ევექტიანობის კრიტერიუმად ტრადიციულად მიღებულია წმინდა დისკონტირებული ფულადი შემოსავალი (NPV), რენტაბელობის შიგა ნორმა (IRR), შემოსავლიანობის ინდექსი და სხვ. [4]

განსხვავებულობის პირობებში რეკომენდებულია რაციონალური გადაწყვეტილების შერჩევა განხორციელდეს მოგების მაქსიმუმის კრიტერიუმის მიხედვით, ან ინტეგრალური დანახარჯების მინიმუმის კრიტერიუმით (პროექტის ვარიანტების მიხედვით რეალიზაციიდან მიღებული სარგებლის თანაბრობის პირობებში). სარგებელში იგულისხმება საპროექტო გადაწყვეტილებათა ევექტიანობის შეფასების ყველა ზემოთ ჩამოთვლილი კრიტერიუმები.

რისკის პირობებში სარგებლის მაქსიმუმის კრიტერიუმის ნაცვლად გამოიყენება სარგებლის მათემატიკური მოლოდინის მაქსიმუმის კრიტერიუმი. გარდა ამისა, ამ სიტუაციაში შეიძლება გამოყენებული იქნეს რისკის მათემატიკური მოლოდინის მინიმუმის კრიტერიუმი (საშუალო რისკის მინიმუმი).

ყველაზე მეტად გავრცელებულია საინვესტიციო გადაწყვეტილების რისკის კრიტერიუმად საშუალოკვადრატული ან სტანდარტული გადახრის გამოიყენება, რომელიც გვიჩვენებს პროექტის შედეგების გაბნევის ხარისხს და შესაბამისად, რისკის დონეს. ამასთან უფრო რისკიანი ინვესტიციები იძლევა სტანდარტული გადახრის უფრო მაღალ სიდიდეებს[2]

საინვესტიციო რისკები ასევე იზომება ვარიაციის კოეფიციენტის, დეკერსიის, ო-კოეფიციენტის და ექსპერტული შეფასებათა მიხედვით. ეს უკანასკნელი გამოიყენება მაშინ, როდესაც

ინვესტორს არ გააჩნია საჭირო საინფორმაციო ან სტატისტიკური მონაცემები ზემოხსენებული მაჩვენებლების გასაანგარიშებლად.

ცხადია პროექტის ყველა მონაწილე დაინტერესებულია იმით, რომ რაც შეიძლება შეამცირონ არაეფექტიანი (წარუმატებელი) გადაწყვეტილების მიღების ალბათობა, თავიდან აიცილონ პროექტის მთლიანი ჩაგარდნა ან თუნდაც მნიშვნელოვანი ზარალი. ამისათვის პროექტის ყველა მონაწილე იძულებულია გაითვალისწინოს პროექტის რეალიზაციის შედეგები სწრაფად ცვალებად საბაზრო გარემოში.

რისკების შეფასების შედეგები ცალკეული საინვესტიციო პროექტების მიხედვით საშუალებას იძლევა რაოდენობრივად შევაფასოთ მათი დონეები [4,5].

1. ურისკო ინვესტიციები - ეს გულისხმობს სახსრების დაბანდებას ინვესტირების ისეთ ობიექტებში, რომლებსაც არ აქვთ კაპიტალის ან მოსალოდნელი შემოსავლის დაკარგვის რეალური რისკი და მათთვის პრაქტიკულად გარანტირებულია წმინდა ინვესტიციური მოგების საანგარიშო რეალური თანხის მიღება.

2. ინვესტიციები რისკის დასაშვები დონით. მათთვის შესაძლებელია მთელი საანგარიშო წმინდა მოგების დანაკარგი განსახილვეელი პროექტის მიხედვით.

3. ინვესტიციები კრიტიკული რისკის დონით – მათთვის შესაძლებელია არა მარტო მოგების, არამედ მთლიანი საანგარიშო შემოსავლის თანხის დაკარგვა განსახილვეელი პროექტის მიხედვით;

4. ინვესტიციები კატასტროფული რისკის დონით - შესაძლებელია ინვესტორის მთელი აქტივების დაკარგვა გაკოტრების შედეგად. ინვესტიციების ამ ჯგუფის ობიექტებზე რისკის დონე, ჩვეულებრივ, არსებითად აჭარბებს ბაზარზე არსებულ საშუალო დონეს. ამ ჯგუფში განსაკუთრებული ადგილი უჭირავს ე.წ. სპეკულაციურ ინვესტიციებს, რომლებსაც ახასიათებს კაპიტალის დაბანდება ინვესტიციების ყველაზე უფრო სარისკო პროექტებსა და ინსტრუმენტებში და რომლებიდანაც უმაღლესი დონის ინვესტიციურ მოგებას მოელიან.

ნავთობისა და გაზის მომპოვებელ დარგში დაბანდება ინვესტიციები შეიძლება მიეკუთვნოს ინვესტიციებს დასაშვები ან კრიტიკული რისკის დონით, რასაც კარგად აცნობიერებენ პტენციური თუ მოქმედი ინვესტორები.



გამოყენებული ლიტერატურა

1. Ю.А. Андрианов, С.В. Валдайцев, П.В. Воробьев, [и др.], Инвестиции, учебник, М., Изд-во Проспект, 2008. – 584 с.
2. В.Д Зубарева, А.С.Саркисов, А.Ф. Андреев, Проектные риски в нефтегазовой промышленности, Учебное пособие. - М. Нефть и газ.-2005 - 236 с.
3. ღამარა ქოქიაური, ინვესტიციების თეორიული გენეზისი, თბილისი, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი. 2007, 945 გვ.
4. Е.Л.Гольдман, З.М.Назарова, А.А.Маутина и др., Экономика геологоразведочных работ: Геолого-экономическая оценка. Ценообразование. Финансы. Маркетинг, Учебное пособие, М. – Изд.дом «Руда и металлы», 2003. – 384 с.
5. რ. სარჩიშვილი, გ. ტაბატაძე, ეკონომიკური რისკი ნავთობისა და გაზის მრეწველობაში, საქართველოს ნავთობი და გაზი 20, 2007, გვ. 26-31.

ОСОБЕННОСТИ И РИСКИ ИНВЕСТИЦИОННЫХ ПРОЕКТОВ В НЕФТЕГАЗОДОБЫВАЮЩЕЙ ПРОМЫШЛЕННОСТИ

ГОДЕРДЗИ ТАБАТАДЗЕ

проф. ГТУ

E-mail: G_Tabatadze@mail.ru

ГИОРГИ ТАТИШВИЛИ

докторант ГТУ

Резюме

В настоящее время нефтегазодобывающая промышленность Грузии в целом функционирует на базе прямых иностранных инвестиций. Этот сектор экономики характеризуется специфическими особенностями, которые должны быть предусмотрены в инвестиционных проектах, поскольку они и сопутствующие им риски влияют на эффективность проекта. Вместе с тем раскрыта сущность рисков, связанных с процессами геологической разведки, бурения и разработки нефтяных и газовых месторождений, которые должны быть учтены при расчёте критериев эффективности проектных решений.

PECULIARITIES OF INVESTMENT PROJECTS AND RISKS IN OIL AND GAS INDUSTRY

GODERDZI TABATADZE

professor of GTU

E-mail: G_Tabatadze@mail.ru

GIORGI TATISHVILI

doctoral student of GTU

Summary

At present time oil and gas industry of Georgia is functioning entirely on the base of foreign direct investment. This branch of economics is characterized with specific peculiarities which must be foreseen in investment projects because they and accompanied risks affect on project effectiveness. Besides its is shown the nature of risks connecting with geologic exploration, drilling and exploitation of oil and gas deposits which must be taken into consideration in case of evaluation of project decision efficiency criterions.